



საუინელი სიზმარი

არ ახევენებს, აწამებს კოშმარული ჩვენება, სამუდამოთ გაუქრა ძილი და მოხვენება.

კვაყდ- ვილნი

ჩემის აზრით მთავარი მორიგი ამოცანა ესაა იმაში მდგომარეობა, რომ გავაძლიეროთ ერთ ბრძოლა „მოალილუთა“ წინააღმდეგ რომლებიც კმაყოფილებიან მართო შეცდომების აღწერებით და მათ გამოსწორებისათვის არ ღებულობენ საჭირო რეალურ ზომებს.

ამხ. ბესო ლომინაძის ხიჯყვიდან საქ. კომუნისტურ პარტიის მე-7 ყრილობაზე.

პილსუდსკი „ჭუმანიუტი“

საქართველოში

პოლონეთში გამოიგონეს „ჭუმანიუტი“ ყუმბარა, რომელიც ადამიანს მხოლოდ ატირებს და არა ჰკლავს.

- ვასიკო, ხედავ რა დამართია მაგ ხალხს?
- რა დამართია და „დაცოცხეს“ მაშ, როგორ ეგონათ? ველისის რაიონი ჩვენი მაზრის თვალსაჩინო კუთხეა.
- საკვირველია, რას აკეთებდა დღემდის ეს ხალხი? აკი „ბღღვირი“ ააღინეს კონფერენციაზე!
- ე, ჩემო ძმაო, „მამლაყინწები“ არიან და მეტი არაფერი! შენ რომ იცოდე, როგორ „ბაქა-ბუქობდენ“.

ერთხელ მეც ვიყავი მაგათთან. საკონტროლო კომისიის დავალებით ერთ-ერთი ამხანაგის საქმეს ვიკვლევდი. იცი, როგორ დამხვდენ? ვერ წარმოიდგენ. სადგურზე თავი მოეყარათ. პირველი მისასალმებელი სიტყვა რაიკომის მდივანმა წარმოსთქვა, მეორე—რაისაბჭოს თავმჯდომარემ, შემდეგ კიდევ სხვებმაც. ყველანი იმას აღნიშნავენ, რომ მე უდიდესი დამსახურება მიმიძღვის რევოლუციის წინაშე, ძველის-ძველი ბოლშევიკი ვარ, ერთი სიტყვით, ჩვენი პარტიის ბელადთა გამოიყვანეს. არ ვიცოდი რა მექნა. სად მე და სად ძველის-ძველი ბოლშევიკი. შემდეგ ვახშამი გაემართათ. მიმიწვიეს. იცი, რა ამბავი იყო იქ? ქების კორიანტელი დააყენეს. აქებდენ ყველას და ყველაფერს. რაიკომის მდივანს და თემსაბჭოს თავმჯდომარეს შეჯიბრი ქონდათ ერთმანეთის ქებაში...

აი რაზე ლაპარაკობდენ პარტიის ყრილობის ორი დღეგატი, რომელსაც მესამე, მუშა-დღეგატი, ამხანაგი ვანოც შეუერთდა. ეს უკანასკნელი სწორედ იმ კომისიის წევრი იყო, რომელმაც ველისის რაიონის მუშაობა გამოირკვია. ვანო მათ ლაპარაკში ჩაერთა.

— თქვენ ნახევარიც კი არ იცით ველისის შესახებ. ეს რაიონი იშვიათს ფაქტს წარმოადგენს იმისას, თუ როგორ არ უნდა ემუშაობდეთ სოფლად.


არ იფიქროთ, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები და პასუხისმგებელი პირები არაფერს აკეთებდნენ!

პირიქით, მთელ მაზრაში ეს რაიონი „მოწინავეთ“ ითვლება თავის „საქმიანობით“, რაც გამოიხატება მხოლოდ და მხოლოდ დღესასწაულების მოწყობაში. და სხვადასხვა კამპანიების ზერეულე ჩატარებაში. ერთი სიტყვით, აგიტაცია-პროპაგანდა ამ რაიონში თავის სიმძლევზე დგას. მაზრის საუკეთესო აგიტატორები ველისის რაიონიდან არიან გამოსულნი. სხვადასხვა გადახრებებთან ბრძოლა ამ რაიონში დიდი ამბებით ტარდებოდა. თვით-კრიტიკის ხაზითაც არ გამოუჩენიათ „უმოქმედობა“ ველისელებს... შეცდომებს არ მალავენ, მაგრამ მათი გამოსწორებისათვის „თითზე თითს“ არ ადებენ. კოლექტივიზაციის საქმეში ზომ სხენებულმა რაიონმა გადააჭარბა ვიდეც. რამდენიმე დღის განმავლობაში ველისში მთლიანი კოლექტივიზაცია გამოაცხადეს და ყველაფერი გაართიანეს.

არ გასულა დღის დრო, რომ ველისის რაიონის მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლა მიზანშეწონილად არ იქნა ცნობილი... მაშინ ველისის „ხელმძღვანელებმა“ ისეთი ტემპით დაიწყეს უკან დახევა, რომ კოლექტივიზაციის „ბურღლაც“ არ დაჩჩებოდა, რომ ადგილობრივ მშრომელ გლეხობას თვითონ სმა არ ამოეთო...


აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ველისელი ამხანაგები ისე კმაყოფილებით ანგრევდენ კოლექტივის, როგორც ამწენებდენ მას...

ცხადია, ამ კმაყოფილ ხალხის მოქმედებას პარტია კმაყოფილებით ვერ შეხვდებოდა.



პილსუდსკი: — ჩვენ არა ვართ ბარბაროები, — სიკვდილის წინ მოწინააღმდეგეს თავისთავზე ვატირებთ, თავს გამოვატირებინებთ... განა ამაზე მეტი ჭუმანიუტი შეიძლება?!

ნ ა ტ ვ რ ა



მაკდონალდი (შექსპირს): — ჰე, ნეტავი ცოცხალი იყო! შენ ერთი მაინც გაიგებდი ჩემს გაჭირვებას და ტრადედიას დასწერდი ჩემზე!

მაკდონალდის მონოლოგი

სიტყვა შექსპირს

სახელოვანო და დიადო მამულიშვილო, ნეტავ ცოცხალი იყვე ეხლა ჩემდა ნუგეზად. მხოლოდ შენ ერთი ჩასწვდებოდი ჩემს გაჭირვებას და ტრადედიას ყველაზე მჯობნს შეთხზავდი ჩემზე.

შენი გმირები სათითაოდ ჩემში არიან... მე ბრიტანეთის იულიოს კეისარი ვარ. მას შორჩილებდა უამრავი სხვისი ქვეყნები, სადაც ჩემსავით მასაც ჰყავდა ელჩ-ემისრები; მასაც ჰმონებდა, ვითარცა მე, ოდეს ეგვიპტე, რომელს მართავდა ანტონიოს, კეისრის კაცი, და დედოფალი კლეოპატრა იყო ტიკინა, ვით დღეს ასეთი ჩვენთვის არის ეგვიპტის „მეფე“. მაგრამ შეგვერცა ეგვიპტეში ჩვენ ძლიერება. დღეს თუ არა, —ხვალ ბანდურს გვკრავენ, გამოგვრეკ-კენ. გახვეულია ცეცხლის ალში თვით ინდოეთიც. დავეცხეს და დაესცხეთ. მსხვერპლი არის ორივე მხარეს. როგორც კეისრის ძეგლი რომის მზე ჩაესვენა, დაეშხო რომის ტირანია და ძლიერება, — ესკვრეტ ასეთივე ბედი ელის ჩვენს ბრიტანეთსაც.

მეფე ლირი ვარ ყველასაგან აბუჩად-გდილი. თავში მიტყამენ ვისაც უნდათ, არ ეზარებათ: კონსერვატორნი, ლაბერალნი და თვით ჩემებიც. ყველასთვის ვზრუნავ, მინდა ყველას ვასიამოვნო, მაგრამ რატომღაც არ გამოდის გულის წადილი... არ იქნა. მაინც ვერ ვისწავლე ამდენხანს ჭკუა.

მე მაკბეტი ვარ... ბევრი სისხლი იღვრება ჩემს დროს, რომელს ქვეყანას შევატყობ, რომ სწადს გადგეს ჩვენგან სულ გადაბუგავ ზარბაზნებით და მხრჩოლავ გაზით, აქ რომ ჩავაქრობ აჯანყებას, იქ კოლავ იფეთქებნ, და მოსვენება აღარ არის ერთი წამითაც.

მე ჰამლეტი ვარ... ხშირად მიდვას „ყოფნა, არ ყოფნა?..“

მე ოტელო ვარ... მეც მასავით მეტყვიან აღბად: „აღარ გვჭირიხართ, შეგიძლიათ აწი მიბრძანდეთ“. მისებრ დავკარგე სამუდამოდ სულის სიმშვიდე. მისებრ მომიწვეს პარლამენტში გამოსვლა და თქმა: ვიღრე გამომცვლით და წამართმევთ პრემიერობას, კონსერვატორნო, მათქმეფინეთ ეს ორი სიტყვა: თვითონაც იციოთ: ბრიტანეთის სახელმწიფოსთვის თქვენზე არ-ნაკლებ სამსახური გამიწვევია, მაგრამ ამაზე არ-რას ვამბობ.. მე გთხოვთ მას მხოლოდ, ნუ შეურაცხყოფთ: თითქოს ვიყო სოციალისტი; ცილს ნუ დამწამებთ: იცავდით მუშათა კლასსა. სთქვიოთ—იცოდა-თქვა სახელმწიფოს გაძლოლა-მართვ თლმც არა-ბრძნული, საშველოდ მაინც. სთქვიოთ—იცოდა-თქვა სიყვარული მეფის ჩვენისა; ეს ყველაფერი აცნობეთ მას და დაუმატეთ, რომ ერთხელ როცა პრემიერად იყო წარსულში მან მაშინაც-თქო დაამტკიცა თვისი კაცობა. სახელოვანო და დიადო მამულიშვილო, ნეტავ ცოცხალი იყვე ეხლა ჩემდა ნუგეზად. მხოლოდ შენ ერთი ჩასწვდებოდი ჩემს გულის სიღრმეს და ტრადედიას უსაშინლეს შეთხზავდი ჩემზე.

ისელი.

საქართველოს კარლამუნის ბიბლიოთეკა

4 განზრახვა თუ „განძრახვა“

ჩვენი ტიპი,
რედაქტორი,
კარგი ბიჭი,
წერისა თუ
სხვა ასეთის
შესწევს ნიჭი
ის ცოდნასაც
რომ იჩემებს,
ენის ცოდნას?
არ დაგიომოხს
ამ ცოდნაშიც
ადგილს ოდნავ
შედადებია
თუ სხვა მსგავსი
სად გაგივათ?
ტიტებს აზრი
სიანს უღაო
ცოდნის სხივითი
(თქვენ კი ამ „სხივს“
სვერტით, ვერ სძლებთ და
გული გტკივთ!)
ამას წინადა...
რადა წინადა
ან რა უკან?
მეუ კი ტიტებს
გეზეთში თქვენ
თვალს ჩაუკრავთ,
თითქმის ყოველ
შის ნაწერში
ცოდნას ნახავთ.
მხოლოდ ცოდვის
თქვენ მხელას ნუ
განიზრახავთ,
რადგან...
რადგან
თქვენი მხელა,
თვით შთის ხელა,
თუ ამ ნათქვამს
შეავს მხმინელი
ტყუა - თხელა,
რაც ტიტეზე
გამოჭრილი
არს ამ ხელად,
არ ცოდნათ და
ცოდვათაც თვით
ჩაგეთვლებათი
(ჩემი რომ არ
დაიჯერეთ,
აგრეც გხვდებათ!)
შო, ტიტებს თქვა,
ამას წინადა
დაეებუდა...
თვლი სწვდა და
გონს ეოცა,
გულს დაეშვდა:

„მართალია
ეს ნაბეჭდი
ამ გაზეთში,
თუ ნახშირით
მტვირთავს ის და
მდენის წუნეთში?“
და აღმოჩნდა,
რომ ნამეტან
ერთგულების
ჩენა სურდა რა
ტიტებს, გმირ
ერთ თქმულების,
აზრი ერთ-ერთ
ხელისუფალ
ორგანოსი,
როგორც თემა,
აქტიური,
ამ ცხელ დროსი,
მას „განძრახვა“-დ
გაეპრელნა
თავის წერილში...
არ დაეპყდეთ
თქვენ ტიტებს ამ
მორიგ წელიწადში
ის — გაზეთში...
ეს — ნომერი.
ეს — სტატიაც...
დანარჩენი,
გთხოვთ, ხუფრტელად
მაპატიოთ!
მხოლოდ ტიტებს
კა შევკადრებ,
მე — რედაქტორს:
„მრწამს, რომ ტემპით
შემახ დღეს შვავდე
კაცი ტრაქტორს
და ყამირებს
სელტო-ბეტოთ,
სჭირდეთ, სთლიდეთ,
მხოლოდ ნატკენ
გზა-ბილიკს, გთხოვთ.
გაუფრთხილდეთ!
თორემ „ზრახვა“
თუ „ძრახვა“-ში
აურიეთ,
ეს წერა და
ეს ბეჭდვა სა-
დაშრიანი?
ერთგულებაც
მე ასეთი
მილირს ხახვით
„ძრახვლ“ ზრახვას“
კი ვკითხულობ
მშენა-ზრახვასთი!
მეზირა.

სანდრო შინწიაშვილსა და იოსებ მჭედლოს
შვილს ერმანეთში დავა აქვთ ოპერის
„შოთა რუსთაველზე“ ლიბრეტოს შესახებ.



შოთა: — მე თუ თავს არ ვუმეველე, ესენი
თქმულებას კი არა, — „ვეფხის ტყაოსანსაც“ დამავი-
წყებენ!

„გ ა ნ ა რ ე ნ ი“


აზიან ისეთი მსაჯულები, რომლებიც სასჯებით ამა-
რთლებენ კრილოვის ერთ-ერთ არაკის შინაარსის მნიშვნელობას.
ამას ნათლად ამტკიცებს ტფილისის მეზუთე უბნის
სახალხო სასამართლოს ერთ-ერთი „განაჩენი“, რომელიც
გამოტანილია მოსამართლე კაპანაძის თავმჯდომარეობით.
საქმე ესებოდა ბრალდებულ არტემ ნადარეიშვილს,
რომელსაც უჩივლდა მისი მეზობელი ა. მ.-მე ფიზიკურ
შეურაცყოფისათვის. ნადარეიშვილი და მ-მე ორივე
ჩრკინისგზელებია, როგორც გაზეთ „კომუნისტის“-ს 1923
ნომერში და გაზეთ „მუშა“-ს 174 ნომერში მოთავსებულ
და გაუბათილებელ წერილებიდან სიანს, არის სპეკული-
ანტი, კონდრაბანდისტი, რომელიც სპეკულიანტურ მიზ-
ნებით შეიპარა ჩრკინისგზის ორგანიზაციაში მუისრის თა-
ნამდებობაზე, სარგებლობდა ბოროტათი ჩრკინის გზის ბი-

ლეთით და გააბა კავშირი მოსკოველ და ბათომელ კონტ-
რანდისტიტთან. ნადარეიშვილს სახლშიაც დაუჭირეს
კონტრაბანდა საქონელი (ტყაყები), რისთვისაც ის საქონ-
ლის კონფისკაციასთან ერთად დაჯარიმებული იყო ტფი-
ლისის საბაჟოს მიერ.
როგორც სასამართლოს მასალებიდან სიანს, მ-მე და
ნადარეიშვილი მეზობლებია: ერთ სახლში ცხოვრობენ
და გაუთავებელი კინკლაობა აქვთ. ერთ-ერთ „მელაპა-
რაკებს“ დროს მ-მეს უწოდებია ბრალდებულისთვის
სპეკულიანტი და საბუთად მოუყვანია ზევით დისახე-
ლებულ გაზეთებში („მუშა“-ში და კომუნისტში“) მო-
თავსებული წერილები ნადარეიშვილის შესახებ. საპასუ-
ხით ნადარეიშვილს სახეში სილა გაურტყამს მოპირდა-
პირისთვის კეტიც მოუშველებია.
საქმე განიხილა ტფილისის 5 უბნის სასამართლომ
მოსამართლე კაპანაძის თავმჯდომარეობით, რომელმაც

„რაციონალიზაცია“

ტფილისის სადგურის კანტორაში რაციონალიზაციის ჩატარების შემდეგ ისეთი სივიწროვეა, რომ ღონისძიებებს შრომლებს მობრუნება უჭირთ. ამავე დროს გამგეობს ვეგებერთელა ოთახები უჭირათ კაბინეტებათ.

ლიპინი.



გამგეობა: — ტყვილად მეშინოდა რაციონალიზაციის გატარების... კარგი ყოფილა, საკუთარი კაბინეტო მაქვს!

გამოიტანა მეტად „ბრძნული“ და სამართლის წარმოების ისტორიაში „ალსანიშნავი“, „განაჩენი“.

მოგვყავს ამონაწერი.

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი:

„1920 წ. 4 მაისს, ტფ. მე-5 უბნის სახ. სასამართლომ, სახ. მოსამ. კაპანაძის თავმჯდომარეობით, განიხილა საქმე ბრალდებულ არტემ ნადარეიშვილის... ბრალდებულს გაუბრტყამს ხელი სახეში. ხელის შემოკვრა ბრალდებულის მიერ იყო გამოწვეული, დაზარალებულის დამამცირებელი სიტყვით, რის გამოც ბრალდება, რომელიც არის გათვალისწინებული ს.ს.კ. 174 მუხლის მიხედვით ჩაითვალოს დაუმტკიცებელი!..“)

დიდებულა!

საუცხოვოა! განაჩენიც ასეთი უნდა!

უკეთესი ლოლიკა კაცმაც შეარცხენოს!

ზა რა სჯობია კაპანაძისებურ მსჯელობას?! ის სრულ რევოლიუციას ახდენს საბჭოთა კანონმდებლობაში.

კაპანაძე, როგორც ჰვავს — უებარი „მატერიალისტილიექტიკოსია“. კამაპაძემ „აღმოაჩინა“, რომ მოვლენათა შორის მუდმივი მიზეზობრივი კავშირი არსებობს,

ესე იგი არ არსებობს არავითარი მოვლენა მის გამომწვევ მიზეზების გარეშე. ამ კანონს სასამართლოს პრაქტიკაშიც შესაფერი „გამოყენება“ უნდა. მისი კაპანაძისებური „გამოყენება“ კი სავსებით „აყირავებს“ საბჭოთა კანონმდებლობას და განსაკუთრებით სამართლის წარმოების საქმეს.

ვთქვათ, კაპანაძის ნაცნობ მეისრეს შეცივდა და რკვზის მთავარ სახელოსნოს ცეცხლი წაუქიდა.

როგორ განაჩენს გამოიტანს მის შესახებ კაპანაძე? ალბად, ასეთს:

„...სასამართლომ განიხილა საქმე ბრალდებულ პეტროძის შესახებ... პეტროძეს გადაუწვამს მთავარი სახელოსნო... ვინაიდან გადაწვა გამოწვეული იყო იმის გამო, რომ გადაწვის დღეს ცივი დარები იღვა, ბრალდება, რომელიც გათვალისწინებულია ს.ს.კ. № მუხლის მიხედვით, ჩაითვალოს დაუმტკიცებლათ (უცარავად... დაუმტკიცებელი)“ და სხვა.

ასეთსავე განაჩენს გამოუტანს კაპანაძე ქურდებს, ყაჩაღებს, კაცის მკვლელებს და სხვა.

მაგრამ კაპანაძის მსგავს „კოპერნიკებს“ თავის ეპოქაში „ვერ აფასებენ“ და ალბად სულ სხვაგვარ განაჩენს გამოუტანს კაპანაძეს სასამართლოს ხელმძღვანელი ორგანოები.

*) თუ დაუმტკიცებლად?



— ეხლა, გაწმენდის შემდეგ, რა თანამდებობას ირჩეული, ჩემო ნესტორ?
— გამწმენდ კომისიის თავმჯდომარეობას იმ დაწესებულებაში, საიდანაც მე გამწმინდეს.

„ტარტაროზ“-ის შემდეგი ნომერი
(სპეციალური, უფა-ხსოვრებაზე)
— გააოცა 22 ივნისს —

ადგილკომის თავმჯდომარე გრძნობდა იმ უხერხულობას, რომელიც მას საპროფკავშირო ანარიცხების დევილიანებასავეთ დააწვა. იგი ვეღარ ეტეოდა თავის პასუხისმგებელ კანში და როგორც კავშირის ცირკულიარს, ისე გაუბრუნდა მასთან შესულ ბრიგადის წევრებს.

ათასწილი ღირებულებაში იყო გართული ადგილკომის პ.-მგ. მდივანი, როცა მას ბრიგადა წამოადგა თავს და მოისურვა ადგილკომის საქმიანობის გაცნობა.

გამოურკვეველია, რაზე ლაპარაკობდნ ისინი მთელი ორი საათი. ცხადია ერთი რამ, რასაც თავისი საკუთარი წყვეილი ყური წაჭრა შიკრიკმა. მან აშკარად დაინახა ბრიგადის ხელმძღვანელის ჩაწეული ხელი და აშკარად გაიგონა მისი სიტყვები:

— არა მშაო, ამ ადგილკომის ალბათ ტყავიც ალარ გამოდგება საანგარიშო კრების შედეგად...

მოვიდა დღე და საანგარიშო კრებაც შესდგა.

— ადგილკომის მუშაობა, ამხანაგებო, მიმდინარეობდა მე და მდივნის გადაწყვეტილებებისა და ღირებულებების შესრულების გამოსილი ღროშის ქვეშ, — ასე დაიწყო ადგილკომის თავმჯდომარემ, — მართალია, თუ გადავხედავთ ჩვენი მუშაობის შედეგებს, აშკარად დაინახავთ, რომ სურათი თავბრუდამხვევია: გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა გაცდენები, განმტკიცდა შრომის დისციპლინა და კანცელიარიის მუშაებზეც დაირაზნენ გამგის ირგვლივ...

ცალკე საამქროების მიხედვით შემდეგი მდგომარეობაა: გამგის კაბინეტი მოწყობილი იქნა ახალი ავეჯით და დაიდგა სამაღამო ავეჯითი ავეჯბათური ტელეფონის აპარატი. საგრძნობლად გაუმჯობესდა გამგის მოადგილის კაბინეტიც; საქმეთა მმართველსათვის შექმნილია ახალი საწერი მაგიდა, მოწყობილი საკანცელიარიო სიტყვის უკანასკნელი ტენიკის მიხედვით; დაწინაურებული მუშისთვის განზრახულია სკამისი შექმნა დასაჯდომით, რადგანაც კაცს მთელი დღე ფეხზე დგომა უხდება, თუმცა მას, როგორც შიკრიკს, სკამი მაინც არ ეკუთვნის. განზრახული გვაქვს ამავე დაწინაურებულს შეუქმნათ ახანაგური ატროსფერა და მიმოსვლის პირობები, რისთვისაც ბიუჯეტში შეტანილია სპეციალური და სასპორტო ფრესაცემლებს შექმნა, რაც უსათუოდ ასწევს სიარულის სისწრაფეს.

დიდა მიღწევები სატარიფო - ეკონომიურ დარგშიც, ჩვენ ვებრძვიით ადმინისტრაციას, რომ ადგილი არ დაუბრუნებს ხელფასის უთავბოლოთ მომატებას მოლორისა და ბუხალტრისათვის, რადგანაც ისინი, როგორც ვაგივთ, ისედაც საკმაოდ ჭაფვინ გ.მოსარჩენის ნიშან ქვეშ.

საგრძნობი მოწაშობარია ის, რომ ჩვენ განზრახული გვაქვს მოველაპარაკოთ ადმინისტრაციას, მოაწყოს ხელის დასაბანი თაწამშრომელთათვის, საბნით — „ბუჯეტ მავი ბაბუშკი“ და პირსახოკით, ისე რომ შოგა (ეშმაკური ღლიმბო) თუნდაც ჩვენს ზავნოხს, რომელიც პირის დაბანს შინ ვერ ასწრებს, პირის დაბანის საშუალებაც ექნება. ოღონდ ამხანაგებო, გაფრთხილებთ, რომ ადგილი არ უნდა ექნეს საპნის უთავბოლოთ ხმარებას, რადგანაც თქვენ იცით, რომ საპონი „ბუჯეტ მავი ბაბუშკი“, ანუ ბებია ჩემის ბუჯეტი, ძვირფასი საპონია... სხვათა შორის, ჩემი ცოლი მაგ საპონს ხმარობს თვინდანვე და საუტყოლოთ ადგება პირს, ოღონდ ესაა, რომ სწინ ზოგს არ მოსწონს. მე რომ მჯიხობთ, ნამწყვის საპონს მიჩვენია, თუმცა ზოგიერთი, დუმსტა



- ყოველდღე თირობა გაგონილა სადმე?
- მხოლოდ ერთხელ დავიფვერი მთელ ჩემს ცხოვრებაში.
- ვერ ჩავექი ეტლში და სახლში ვერ წადი?
- ყოველთვის მახე ვიქცეოდი, მაგრამ დღეს დამავიწყდა!

ბორნი საპონი რომ არის ეტეს შაურიანი, იმას ამჯობინებს. ესეც გემონების საქმეა: მაკალითად, ბიძა ჩემის ცოლის დას ბოდლო საპონი თუ არ მიართვი, ზედაც არ შე მოვხედავს. ყოველ შემთხვევისათვის, ამხანაგებო, მე კენქს უყრი: აბა, ვისაც „ბუჯეტ ბაბუშკი“ გირჩენიათ, გთხოვთ ხელი ასწით... სხვათა შორის, პირის საბანი საპონი ასლავე მოიმარაგეთ სახლშიაც, თორემ მერე იქნებ არც დარჩეს... ასწით ხელი!

მომსწენებელი ისე გაიტაცა სანების ასორტიმენტმა, რომ კრების აღმფოთება ველარ შეაშინა და მხოლოდ თავმჯდომარის ენერგიული მოწოდების შემდეგ განაგრძო სიტყვა.

— ამ მიღწევებთან ერთად, ამხანაგებო, ჩვენ გვქონდა შეცდომებიც პროფხაზით. ყველაზე უხეში შეცდომა იყო ის, რომ ჩვენ კულტურონდიდან ჩანს მოწყობისათვის გამოყოფილი თანხით შევიძინეთ თხელი ქიქები, რომლებიც უკვე დაიმტერა მთელი ასი პროცენტით. საქმე შემდეგნაირა: ჩანს სპიადროს ჩნებთ მოუციდა ირ ჩვენს მუშაკებრალო მიზნებს გამო: ერთი ამტკიცებდა, რომ ჩანს ქიქებით ღვიბის სმა ბარბაროზო

ბაა, ხოლო მეორე გაიძახოდა, რომ ბარბაროსობა არის ყანწი, რომლიდან ჩვენ სწორედ ჩანს ქიქებზე უნდა გადავიდეთ. ამაზე ატყდა ჩხუბი (ორივე ნასვამი იყო სამსახურში მისული) და ქიქებიც დალევს... დიად, შეცდომა იყო ქიქების იყდვა; ჩვენ რომ თიხის ფინჯნები გვეყიდა, ისე ადვილით ვერ გასტებდენ და ჩაი ასლაც გვექცებოდა!

— გეყოფათ, გეყოფათ! — წამოიძახა აღმფოთებულმა ბრიგადის ხელმძღვანელმა, — ყველაზე უხეში და დიდი შეცდომა ყოფილა ის, რომ შინთთან კაა აურჩევით ადგილკომის თავმჯდომარეთ. მე წინადადებას ვიძლევი დავშალოთ ადგილკომი და სრულბით ახალი ავიჩიოთ.

ბრიგადის წინადადება ერთხმად მიიღეს. — ვიკოდი ასე იქნებოდა, — წასწურულა ადგილკომის თავრემ საქმის მწარმოებელს, — ეგენი საზოგადოებრივ მუშაობას დაგდასებენ? სხვებმა ქიქები დაამტერეს, პასუსს მე მოხოვენი, ეგ არის კანონი?..

მდივან აზრდაც მოსვლია, რომ ქიქები ამ ჭრადურ შოგაშია.
ალლარ-ალლარსან.



— მასწავლებლო, გვანახვთ ქიმიური ცდები!
— სულელი ხომ არა ხარ რომ აფეთქდეს?!

სამოწაფო თანამედროვე ანდაზები

- ➔ მოწაფემ თუ გაკვეთილი არ იცის, გაკვეთილზე ჭკვიანათ ზის.
- ➔ ცუდ მასწავლებელს, ცუდი მოწაფეები ჰყავს.
- ➔ მოწაფემ გაკვეთილი არ ისწავლა, და წიგნს დააბრალო — ძნელი არისო.

კალმოსანი.

გულდათუქული და დაზარალებული ჩოხატაურის გულჯკომი აუწყებს ჩოხატაურს მეეტლეებს, რომ ხანჯელის ავთამყოფობის შემდეგ გარდაცვალა მისი ერთადერთი ნუგეში და საამაყე ხოლო უკანასკნელთა ერთადერთი და ძლიერი მოწინააღმდეგე

ავტო

რომელიც იზსვეტპლა მოუფელობამ და შოფერის დაუღვერებამ. ჰანაშვიდი ყოველდღე გულჯკომის სასადილოში.

ჩოხატაურის გულჯკომის ავტოს გარდაცვალების გამო გაბნეარულბულნი ჩოხატაურის

მეეტლეები

აუწყებენ საზოგადოებას, რომ განახლდა მიმოსვლა ჩოხატაურ-საჯევახოს შორის. ტყავის გაძრობა ორმა ფასებში. მაყარიხი ყოველდღე კერძო სამიკიტხომი.

სადგ. ბელღევის სადგურის უფროსი ჭანკვეტაძე ამით აცხადებს, რომ მის მიერ სადგ. ბელღევიში მოწყობილია

სანიმუშო საქათმე

რომელშიაც მსურველებს თვითონ ასწავლის შინაურ ფრინველების (ქათამი, ინდოური და სხვ.) მოვლა-მოშენებას.

უგზო-უკვლოდ დაიკარგა სადგ. განჯის

ადგილკომი

მპონელს ეთხოვთ — ნუ გამოგვგზავნის (ვერაფერს გვიკეთებდა), რისთვისაც მიიღებს ჯილდოს. სადგ. განჯის მუშა-მოსამახურეთა დავალებით. № 447737. ვ. კუხნიცოვი.

მგზავრობა იმერეთში

გორდის თემი

დიდხანს ვეძებ სას-სამ. საკრედიტო აბანაგობის დაწესებულებას.

— ნეტა, აღარ არსებობს? — ვიკითხე მე.

— როგორ არა, მაგრამ ანდრო ჩიხლაძემ თავის ბინის ახლოს გადაიტანა, იმ მიზნით, რომ საქმეზე მისულ გულმგებელს უფრო მოხერხებულად შესძლოს საჩუქრების მიღება.

— მერე შეიძლება საბჭოთა დაწესებულებაში ასეთი პიროვნება?

— ჰმ! ეგ რა არის! ამ დაწესებულებაში ნამდვილი მღვდლებიც კი მსახურობენ. საკანცელარია მუშაობა ანალოგიურ მღვდელ რომანოვ ჩიხლაძეს აქვს ჩაბარებული. აქვე არიან მოვალაბებულები: რაფდენ ბობოხიძე, კულაკის შვილი, ასლან ჩიქოვანი ყოფილი თავადი და ბიჭუაძე ჩიხლაძე (ცნობილი მევანზე).

სად. სპირი.

— საით მიერქარები ასე ადრე? — შევევით-

ხე სადგურ სვირის ალ.კ.კ. უჯრედის წევრს გრიშა მაღლაკელიძეს.

— ეკლესიაზე — წირვა-ლოცვის მოსასმენად.

— ბიჭო, ხომ არ გადირიე, კომკავშირელი მაგას ჩაიღებარ?!

— კომკავშირი აქ რა შუაშია! გუშინწინ ჰავიცი მოვინათლე, საიდგომოთ მე და ხუცესმა ზორბათ ვიქეიფეთ. მერე — და რა მოხდა! უჯრედს ზმაც არ ამოუღია.

სოფ. ზორპილა (სახერის რაიონი).

— გამარჯობა, ბესარიონ გოგიტაშვილიო! კაცო, რას დაეძებ მაგ მინდორში?

— ბალახებს წამოღობს შესამზადებლად. ისე კითხულობ თოქოს არ იცოდე, ჩემი სახელი, როგორც ნიჭიერ ექიმისა, მთელ იმერეთშია გაფარდნილი. ავტო წინაზე იობაშვილის ქალს თექვსმეტი ფუთი სიმინდი გადავამლეკე კისურზე ჩემ წამლებში.

— შენ ხომ კომკავშირელი ხარ?

— მერე რა!

— სად გავინილა კომკავშირელის ექიმბა-

შობა! ალბათ არ იციან, თორემ აქნობაშიდ გამოგრიცხავდნენ.

— ჩვენმა უჯრედმა ხელიგნობა, სიმულიანტობა, კომბინატობაც კი დამიბტაცა, მაგრამ ვერაფერი დამაკლო.

სახხმრა.

მოშვიდა.

წითელ სასადილოში შევიარე. სიმურა, ცეკვა-თამაში და ლანძღვა-გინება იქაურობას აყრებდა.

— ამხანაგო, სასადილოს გაგემ ლენო თუ დაგაძალოს, ნუ დაღვეთ! — მითხრა ჩემს გვერდით მოსულიემ.

— რატომ?

— ის ძველი მიკიტანია, დაგათობს და ზედმეტს გადაგახდევინებს. ამის გულისთვის ერთხელ უესტოც აატრეს, მაგრამ „დიდი კაცები“ — ს წყალობით ხელმეორედ აღადგინეს. ხომ ხედავ — მუშათა სასადილო პირდაპირ სპიკიტროდ არის გადაქცეული.

— მართალია, მხოლოდ არღანი აკლია!

შირულმელი თაღა.



ეს ასე იმითვე ხდება რომ „საქართველოს ღვინო“-ში ალბად მს.ამ ვიზუალობაში—„გო.შაა“ ზის.

იზვიათი ფყველა (სამბრეღია, მესამე ილორი)

ფოტინე:—მემესხე, მემესხე, გაღა მიშენდი, რავარც ჩვენი ეკლესიის ეზოში მდგარი დიდი ქანდრის ხეები გადაშენდენ. არ მოგზმარდა შენი ნაშრომი, ისე რავარც ამ ხეებში აღებულნი ფული სოფელს არ მოხმარებია და ჩაუღაბა დიდაცის ჯიბემ.

დუსინე:—უი, გაქრი, გაგიხმა მაგ თავი, გაგიარა შენმა ნაოფლორმა ფუქეთ, ისე რავარც ჩვენი სამკითხველოს შენობისათვის შეგროვილი ფულები გააქრო ფუქეთ მარო ნახეი-შვილმა და მისმა აფხანიკებმა.

ფოტინე:—ოი, დემედლეუე, არ ეღირსა შენ მოდგმას არაფერი სიკეთე ისე, რავარც ჩვენმა აღმასკომმა არ აღირსა

ილორის უბანს კოოპერატივი და სამკითხველო.

დუსინე:—გაგიჩნდა ქირი და თხიპე, ისე დაღლახდი, რავარც ჩვენმა საქათმე კომბინატმა დაქირიანებული და დაღლახებულნი წიწილები დაგვირიგა სოფელში.

ფოტინე:—მეისპე და არ გეღირსოს არაფერი საქმის გაკეთება—ისე, რავარც ჩვენმა აღმასკომმა სასოფლო გზების შეკეთება არ გვადირსა, გადაგიბრუნდა უკულმა ყველაფერი ისე, რავარც პარონის გზაზე მიმავალი ურმები ბრუნდება თავდაყირა.

დუსინე:—ოი, ჩავიშავდა ბიზილიე, დაგიღაპა ქირნახული და დაგენგრა თეძოები ისე, რავარც ჩვენი ოთხწლე-


დის შენობა ლეება და ინგრევა უპატრონოდ.

ფოტინე:—გადეგერია შვილები, გირტყეს, გიბასკუნეს ყოველ დღე ისე, რავარც აი ჩვენი კლასის ზრითელი პარმენ ასათიანი ურტყამს,—უბასკუნებს ბაღებს ყოველ დღე.

დუსინე:—გახელი, გამწარდი ისე, რავარც ვასო ჯიბლაძე ამწარებს და უყვირის მასთან საქმეზე მისულ გლეხებს და ისრჩობა დორობლებით.

ფოტინე:—რომ დაწვე, დეგემართა ოუდგომელი ისე, როგორც ქალაქის სამკითხველოდან ნუსუა საკანდელიძის მიერ ასაკინძათ გატანებულ წიგნებს დეგემართა „ოუკინძაძე“.

ბრავუნა.



**ვერტი-ვერტზე მიაგორა
და გამოთვრა იაგორა**

„ჭიათურის მაღაროების მღვიმევის რაიონის ხელმძღვანელი იაგორა სტურუა სის ტემბატიურად ლოთობს და აწიოკებს მის ახლოს მცხოვრებ მუშებს. სამუშაოზე მას ხშირად ვერ ნახავენ, რადგან გართულია კვარტების ცლაში“.

მუშკ. გოგის წერილიდან.

თქვენ არ მომიკვდეთ, იაგორა სტურუა, არც ისე სასაყვედუროა, როცა სცლის ხან ყანწებს, ხან ჭიჭებს და თან მამლაყინწურად თავს იჭებს, რომ ის იყო ზესტაფონის მილიციის მმართველი და ვით „ჭეშმარიტი ქართველი“ თავს არ ჯოგავდა დროს ტარებაში, ბიჭი არ ჯობდა ქალებთან გარებაში და როცა ერთ ქალს ვაუბრტყურება მოუნდომა, რადგან ვერ დაიკმაყოფილა ეს „ვაჟკაცური“ ნდომა, ესროლა ტყვია და... ერთის



სიტყვით, როცა იქიდან გამოაპანდურეს „ფრიადია“, ჭიათურის მოველინა ფიზიკურ მუშად და აქაც არა უშავს: ბედი აქვს განალიმევი, ამიტომ ხელში ჩაიგდო მღვიმევი და გიყვარდეს კობტა ქეიფი და კაი ლზინი; არც ადმინისტრაცია, არც მუშგლებინი ჯერ არ წასდგომია თავს-როგორც ციციხე; მაგრამ აბა ტარტარო ზი ხომ არ აქმევს სირცხვილს? ჩანგლის წვერი და მისი ჯანი! ნუ დაგვიჩება იაგორა ხათრიჯანი.

★

**იცის კობტა თამაში,
ბიჭობს სმა და ჭამაში**

„ავჯალის მუშის ქარხნის მუშები ხშირად უპუროდ რჩებიან იმის გამო, რომ ქარხანასთან არსებულ პურის სავაჭრო პუნქტის ნოქარი ჭეთთარაძე საქეიფოდ და საცეკვაოდ დაიარება და მუშების კუთვნილ პურს უწიფნაკოდ ყიდის კერძო პირებზე“.

მუშკ. შუშისქარხნელის წერილიდან.

ქვათაძე ბიჭად-ბიჭია საკმაოდ კობტა და ავქაღაში ნოქრად რომ მოხვდა, საქმე ისე მოხდა, რომ ხოში ბლეძრა ცეკვა-თამაშის და რადგან

მას აქ არავინ სჯობდა ამაში (და სხვათაშორის სმა და ჭამაშიც) გაიჩინა შესაფერი ამქარი და ამ წუთში რომ აქ არი, მეორე წამში გაღმებანში „მამილა“ ცეკვავს ფიგურებით,—ამ დროს თუ მუშკობისკენ




იყურებით, თქვენ დაინახავთ ჩამწკრივებულ მუშებს, რომლებიც ავჯალის ქარხანაში ამზადებენ მუშებს და დასვენების დროს სასაუზმოდ გამოსულნი—უცდიან პურს პირში დამალ-ჩამოსულნი: ცდებიან საქმეზე, აცხადებენ საყვედურს, მაგრამ ვინ უგდებს ყურს?—ქვათაძემ მათ კუთვნილ პურს უკვე ანდერძი აუგო და უწიფნაკოდ მისიანებს წაუღო... ერთის სიტყვით, აქ საკითხი დგას მწვავედ და საქმე ისე წავა, რომ თუ ტარტაროზმა არ „ატანცავა“—ნოქარი ქვათაძე—უფრო თავს გავა.

★

**გიორგი ხარ—ზანდუკელი?
თავხედობას მანდ უკელი**

„ქარხანა „ქაქა“-ს ადგილკომის რწმუნებული გიორგი ზანდუკელი სისტემატიურად არღვევს შრომის დისციპლინას. სამუშაოზე ცხადდება დაგვიანებით მოვარაოდ და მუშაობის მაგიერ მავიდაზე სძინავს მუშების თვალწინ“.

მუშკ. კრიტიკას წერილიდან.



ქარხანა „ქაქას“ ოსროთა „კვაქავს“ ეს ზანდუკელი—ჩვენი ქარხკომი,—იცის ხერხელები, ჰყვან მფარველები. ჯერ არ შეშლია მითომ ნახტომი. „ებრძვის“ ლოთობას, დეზერტირობას—ამიტომ ის ჰქმნის ასეთ პირობას: გაიღებება გაიჭაქება და მავიდაზე გაიტყლარება—დაიგვიანებს სამუშაოზე, ან ადრე წავა, აღარ დარჩება. მოკლედ: ქარხკომი „გვაძლევს მავალითს“ მაგრამ... ის არის სწორედ მავარიც, რომ ზანდუკელსა ეს თავხედობა,

ხანვივით რჩება, რადგან მან იცის ცობა საქმე და ბევრი ყბედობა. აქედან ტარტაროზს გამოაქვს დასკვნა: „ზანდუკელს ისეთი პანდური „ვაფსკენათ“, რომ დაუფანტოთ ქაქა და აღარ ივარგოს კვაქად.“

★

**ციფრებს ქეპავენ „ბუხები“
ისე, ვით ნავავს კრუხები.**

„ბოროტობის საკასრე ქარხნის ბუღალტერი სვიმონოვი წმინდა წყლის ბიუროკრატია და შრომის დეზერტირია. იგი აქიანურებს საქმეებს, აწვალებს მუშებს და თვითონებურად სტოვებს სამუშაოს. სვიმონოვის დამქაშები ხელს უშლიან მსუბუქ კავალერიას ქარხნის დანაკარგებთან ბოძოლში“.

მუშკ. კავალერისტის წერილიდან.

ჩვენს ქარხანაში ბლომად არიან ფროთოსანი კრუხები: — „ზავები“, „ზამები“ და მათი „ბუხები“, რომლებიც გაპრტყელებულ ძირით ასხედან მკვდარ ციფრებს, და წყალს ატანენ ცოცხალ მასალას—სატყეჩე ფიცრებს; როცა მათ მიუთითებს მსუბუქი კავალერია, რომ გადაყრილ ნაფოტში—საკასრე ტყეჩები ბევრია,—სტუქსავენ მას „ზავები“—ბუხები და მათი ნათესავები—და აცხადებენ,



რომ მათ კარგად იციან რასაც შვრებიან, რომ... ერთის სიტყვით მუშები „მათ საქმეში“ ნუ ეჩრებიან—და ხარჯავენ სხვა „მარგალიტებს“, მაგრამ რომ გავყვეთ ამგვარ მავალითებს, შორს წავიყვანდა თუნდაც იმის დასახელება, თუ „ბუხ“ სვიმონოვს თავი როგორ ესახელება, როცა იგი აწვალებს მუშებს და ხელსაყრელ შემთხვევას არ უშვებს, რომ მოახტეს მატარებელს და ჰაიდა—ტფილისში დროს სატარებლად. მაგრამ აქ დაუსვათ წერტილი, რადგან ტარტაროზს მტიკედ აქვს გადაწყვეტილი, რომ ამ ქარხნიდან კინწის-ცვრით დაფერთხოს ბიუროკრატია ბუხი და ყველა ის კრუხი, რომელიც ქარხანაში საქმეს აფუჭებს, უაზროდ ანადგურებს სამასალო ტყეჩებს და მხოლოდ „სიტყვის მასალად“ ხარჯავს საქმიან „რჩეებს“.

ს ნ კ ე ტ ა

1. სახელი, გვარი, მამის სახელი.
2. მკითხველი თუ თანამშრომელი?
3. რა მოგწონთ ჟურნალში?
4. რა არ მოგწონთ?
5. რა მიღწევა აქვს?
6. რა ნაკლი?
7. ეტყობა თუ არა გაუმჯობესება?
8. რაში ხედავთ გაუმჯობესებას?
9. რომელი განყოფილებები მოგწონთ?
10. რომელი არა?
11. რა განყოფილებებია კიდევ საჭირო?..
12. თქვენი შეხედულება ჟურნალზე საერთოდ.
13. თქვენი სხვადასხვა შენიშვნები.

კორექტორი ბლაგვადე

კორექტორი გაბრიელ ბლაგვადე ერთ საუკეთესო კორექტორად ითვლება ტფილისში. ათი წლის სტაჟი ჰქონდა. მუდამ ფხიზელი, მუდამ მუყაითი და საქმის ერთგულად შემსრულებელი, — აი რა ახასიათებდა გაბრიელს.

ასე მიდიოდა დღეები და გაბრიელიც ყოველდღე მუშაობდა მუყაითად, ერთგულად.

იყო დღე იგი შაბათი. გაბრიელი რაღაც ეშმაკად ადრე გამოვიდა სახლიდან. იქნებოდა სრული ორი საათი. მუშაობა კი უნდა დაეწყო ექვს საათზე. სახლში დაბრუნება აღარ ღირდა და დაიწყო რუსთაველის პროსპექტზე სეირნობა. აქ მოხდა მარცხი, საშინელი მარცხი: გაბრიელს შეხვდა დიდი ხნის უნახავი მეგობარი, გადაეხეინ ერთმანეთს და ცოტა ხნის შემდეგ მეგობარმა გაბრიელი თითქმის ძალად შეიყვანა რესტორანში.

—:—

ხუთის ნახევარზე გაბრიელი რესტორანიდან გამოვიდა. პირზე შექარხლებული იყო და ხელების შლით ხმა მალლა ელაპარაკებოდა მეგობარს. ბოლოს გადაეხვია მაგრათ ჩაჰკოცნა და ჩქარი ნაბიჯით გასწია სტამბისკენ.

ასე მზიარული და მოღიმარე გაბ-

რიელი თავის დღეში არ ენახათ ასოთ-ამწყობებს და ძალიან გაუკვირდათ. სამი გვერდი ჩვეულებრივად გულ-და-გულ გაასწორა გაბრიელმა. მეოთხე გვერდი შემოუტანეს გასასწორებლად. თავი საშინლად დაუძძიმდა გაბრიელს; ტვინი ბურუსმა შებოჭა. თავს ძალა დაატანა. დარჩა უკანასკნელი წერილი. თავი ძალზე გააკანტურა და დაიწყო კითხვა. ვერაფერი გაიგო და დედანი აიღო ხელში: დედანში შემდეგი ეწერა:

წერილი რედაქციის მიმართ.
ამხანაგო რედაქტორო!
თქვენს პატივცემულ გაზეთში მოთავსებულია ტყუილებით სავსე წერილი გულდაუთიდან. მე სრულიად მართალი ვარ და ამის დამამტკიცებელ საბუთებს ამასთან ერთად ვგზავნი. თუ თქვენი ნება იქნება, კარგად, დალაგებით, თვითონ გიხსლებით და მე გიამბობთ ყველაფერს. ანაფორა დიდი ხანია გავიხსადე და ჩემი ტლანქი ხელმბით, როგორც უბრალო გლეხი, ყანას ვამუშავებ. მთელი ამბავი თაყიდან ბოლომდე მოჭორილია. ვურჩევ ავტორს ჟორიკანობას თავი დაანებოს. დასამალავი განა რა მაქვს? ვიწვევ სამედიატორო სასამართლოში. სამ დღეში დაასახელოს თავის მედიატორენი“.

გაბრიელმა ნაბეჭდის კითხვა დაიწყო, მაგრამ უკვე ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ვეღარაფერს არა ჩეცდა. ასოები ბუქნას უვლიდენ. ხელი ჩაიჭნია. „სწორე იქნება“ — ო ჩაილაპარაკა. ქუდი დაიხურა და წავიდა.

მეორე დღეს გაზეთში შემდეგი იყო დაბეჭდილი:

წერილი რედაქციის მიმართულ ბით.

ამხანაგო ბრედაქტორო!
პატივცემული ტყუილების სავსე გულა ხარ. ამის დასამტკიცებელ საბუთებს გიგზავნი. ანაფორა დიდი ხანია გავიხსადე და ჩემი ტლანქი ხელმბით ისე დაგამუშავებ როგორც ყანას. გირჩევ ჟორიკანობას თავი დაანებო, თორემ დასაკლავი დანა თან მაქვს. ვიწვევ. ავიატორი საბედისწერო საბურთალოში სამ დღეში დაიმსხვრა.

პატარა ცეში ვირადიონ თხაპარია-შვილი“.

მეორე დღეს გაგიკებული რედაქტორი თავის ოთახში ყველაფერს ამტვრევდა და ყვიროდა — დახვრიტეთ! ჩამოახრჩეთ ის არამზადა! ბანდიტი!“

შვილი.


მორიელი.

მ უ ხ რ უ ჭ ი

იცოხნის

ამ რამდენიმე წლის წინად გზატკეცილებს სამმართველომ დაიწყო სურამ-ძირულის მოსეს გაყვანა, მაგრამ მუშაობა კუს ნაბიჯით მიდის, ხშირად კი სრულიად სწყდება, თითქოს გზატკეცილების სამმართველოს ავიწყდება სამუშაო გეგმაში დასახელებული გზის დამთავრების არსაბოზა.

„დავიღუსი“



ლაფში ჩაფლულია ურემი „გზაზე“ არ მოსჩანს ფონია, გზა კი გზის ბიუროკრატებს დამთავრებული ჰგონიათ.

*

გამოიცნო

— ფორის ნავთსადგურში შეუპინევიათ ერთი მოქალაქე, რომელმაც ღრმოცი დღე იმარხულა.

— ვინ უნდა იყოს ნეტავი?

— მუშა გამოძიგონებელი იქნებოდა.

*

„ღამცირებულნი“

გუშინ წინ სატრანსპორტო-სამომხარებლო კოორეაციის № 3 პალატიში აღმოჩენილ იქნა 6 კილო დამპალი შაშხი, რომლის ნაწილი უკვე გაყვითლდა მომხარებლებზე.

გამოირკვა, რომ პალატიში შაშხი გადმოუგზავნია იმავე კოორეაციის № 7 საწყობს „ი.ი.მ.ს.“.



— აფხუსი არ არის, რომ ერთი კილო ჩვენსთანა მსუქანი „საქონელი“ რალაც ხუთ - ექვს მანეთად იყიდებოდეს?!

ბ ა თ ო მ ე ლ ი

„იადონი“

სადგურ ბათუმის საბარგო განყოფილებაში მსახურობს მოლარის თანამდებობაზე ნიკო ჯორჯიკია. მის სალაროსთან მოქალაქეებს 3-4 საათი სჭირდებათ ლოდინი საქონლის გამოყიდვის დროს.

12 მაისს კი მოქალაქეებზე გულმოსულმა ჯორჯიკიამ ლანძღვინებით გული ველარ მოიჯერა და სულ მიატოვა სალარო, რის გამოც ხალხი მთელი დღე სალაროსთან „აყურყუტა“.

მუშკ. ზიგოს წერილიდან



ლოთი-ფოთი

ნესტორი

სადგურ ხრესილის წყალსაქარის ცეცხლფარეში ნესტორი ლოთი-ფოთი კაცია, რომელიც სამსახურს ვულს არ უღებს და თავი მომაკვდავ მელასავით მუდამ ღვინის სარდაფისაკენ მიაქვს. მუშკ. „ხელი“-ს წერილიდან.



ალბათ იცის ნესტორმა, რომ ლოთი-ფოთობას და მით უმეტეს, სიმუღიანტობას არავინ შეარჩენს. იცის „ვაჟაკმა“... გულში დარდები სწავს... „ცეცხლი უკიდა“. მერე იმ ცეცხლს ჩაქრობა არ უნდა?

რითი ჩააქროს?

წყალით?

წყალი „პირუტყვის საქმეა“ და ისიც ზვანჭკარის ტყბილი შადრეენით „იქრობს“ რალა!

—:—

სცენა სამგზავრო ვაგონში

დედაბერი: — მიშველეთ! დავიღუპე, გამცარცვეს... ვაი! ვაი! ვაი!

1-ლი მგზავრი: რა მოგპარეს დედიჯან?

დედაბერი: — ფულები მომპარეს!.. ჯიბე მომჭრეს (ხელს იცემს სახეში) ვაი!.. ვაი!.. ვაი!..

1-ლი მგზავრი: — რამდენი წაიღეს?

დედაბერი: — სამი თუმანი წაიღეს!.. ვუი ოჯახო!.. ვუი შვილებო! რალა ვქნა! ბილეთიც წოულიათ.

კონდუქტ. — რამდენი მოგპარეს?

დედაბერი: — ოცი მანეთი!.. ბილეთიც ამომართვეს!.. დავიღუპე... ვუი... ვუი (ისევ ხელს იშენს).

მე-2 მგზავრი: — რა მოგივიდა დედილო?

დედაბერი: — თუმანი მომპარეს. ვაი... ვაი...

3 მგზავრი: — რა, გატირებთ! რა მოგივიდათ?

დედაბერი: — გამცარცვეს.

3 მგზავრი: — რა მოგპარეს?

დედაბერი: — სამი მანეთი მომპარეს — ბილეთის ფული... ვაი... ვაი... ვაი... (ხალს იშენს).

მგზავრები: — ???!

კონკურსი 50 მანეთი

ამ სურათზე უკეთეს წარმარებისათვის.
პირველი ჯილდო 25 მანეთი.
მეორე ჯილდო 15 მანეთი.
მესამე ჯილდო 10 მანეთი.

კონკურსის მიღების უკანასკნელი ვადა — 15
ივნისი.

კონკურსის შედეგი გამოცხადდება 22 ივნისის
ნომერში

კონკურსზე უნდა იყოს წარწერა: კონკურსისათვის.
ხაჭირია ავტორის სრული ვინაობა.



გოღორონი

კ. მხმარს (ბუქსიეთი, ოზრუგ. მარა). ესეც კმარა:
„ეპოს“ ნოქრად მოგვევლინა
ძველი ჩარჩი ზაქარია.
ვაჭრებს მისცა, რაც მიიღო
ფართალი და ზაქარია! — აქ რითმა და ლექსთა
წყობა კარგია, ხოლო თვით საქმე — ცუდი.

დამსწრის (დუშეთი). მართლაც კარგი ტრიო ყოფილა მოკალათებული „ეპოში“: 1. ს. ნამორაძე, 2) ფარე-სიშვილი და 3) დუგვიშვილი.

1. მამაჩემის მოყვარე ვარ,
გავუმართე მიტომ ხელი.
რაც „ეპოში“ შემოვიდა,
შინ წავიღე ერბო, ყველი.
2. მე ვარ ძველი აზნაური
ჭამაც ვიცი შესაფერი;
გლებს რად უნდა თეთრი ფეკილი?
სახლში მიმაქვს ყველაფერი.
3. მე ყოფილი ვაჭარი ვარ,
მიტომ ვწყალობ ნაცნობ ვაჭრებს;
მათ თოფობით ვაძლევ ფართალს,
და გლებეკს კი მხოლოდ ნაჭრებს.

რაკი ესენი ასე სწემენდენ „ეპოს“, ალბად გამწმენდი
კომისიაც არ დაიზარებს მათ გაწმენდას.

ვაღველს (ქვ.-ნოლა, ხაჯაგანო) თქვენ გვწერთ, რომ
„აქვესენტი ბოცვაძე სცემს კოლექტივის წევრ გლებებსო“,
— და ამ თქვენს ცნობას ადასტურებს „ხელის მოწერითა
და სახაზინო ბეჭდის დასმით“ თემსაბჭოს თავმჯდომარე,
რომელიც შეუამდგომლობს — დაგიბეჭდოთ ეს წერილი და
„მოვსცხოთ“ თქვენი სოფლის „ტარიელ მკლავაძეს“.

რაღა ჩვენ გვავალებს თემსაბჭოს თავმჯდომარე ამ
საქმეს? ეა პირდაპირ მისი მოვალეობაა. (ვაი, სირცხვი-

ლო! ბეჭედი მაინც არ დაესვა და ხელი არ მოეწერა თა-
ვისს უმოქმედობის დოკუმენტზე).

მასარკოშულს (ზესტაფონი). თქვენ თუ არ შეგ-
რცხვებთ ამ ლექსის ავტორობა, ჩვენ რა გვადარდებს,
დავბეჭდავთ:

ანტიკულტურულ ქმედობით
ქითაბი გამოელთა.
ჰველა აფასებს კოწიკოს,
„უბადლო უენტლემენია“

კა. ლმ-ტის (ძირულა). ჩვენ არა გვეონია, და თუ კი
ასეთი ლექსი გამოასწორებს ისილს, გელაშვილს, ჩვენ
საამონებით დაგიბეჭდავთ:

ხშირად მოდის გაღეშილი,
წარმოვებას ხელს უშლისა.
ხიმთვრალის დროს გენერლობს და
ფხიზელი კი არად ღირსა.

ლექსი სუსტია, თუმცა ასეთ კაცზე უკეთესი ლექსის
დაწერა არც კი ღირს.

ქოსს (ბათომი) ვინაიდან თქვენი დებუება:

კ. ორაგველიძემ, რომელიც ბინას ეძებდა, და
იწყო ოთახებში ფანჯრების ჩამტვრევა, რომ გავგო რომ-
მელი ოთახი იყო თავისუფალი, რომ ჩასახლებულიყო...
მილიციამ კარლოს ოთახი გამსახლში მისცა, — დაგვიანე-
ბით მივიღეთ და ესლა აღარ აქვს მას მნიშვნელობა; ამი-
ტომ აღარ ვათავაებთ.

ჩან-ჩანს. რაკი მიდიხართ სოფელში, რაღა ჩვენი ხე-
ლით უგზავნით ცოლს წერილს?! თვითონ წაუღეთ და წა-
უკითხეთ.

ჩანჩანს. ტარტაროზმაც რეგვა თქვენი წერილი გო-
დორში.

კრილოვისებურად

მცხოვრებთა მომარაგება სურსათ - სა-
ნოვავით მიტომ ვერ არის მოგვარებული,
რომ საჭირო ორგანიზაციები, რომლებსაც
ეს ვეალებათ, ერთმანეთს ხელს უშლიან
მუშაობაში.

ამხ. ლ. ლოლობერიძის მოხსენებიდან საქ.
კ. პ. 7 ყრილობაზე.



ბაღი, კიბო და კალმასი

გულმოდგინებით გაეზენ
სამივე ერთად მარხილში,—
მაგრამ ვერ დასძრეს ეს ტვირთი,
ტყვილად ჩავარდნენ სირცხვილში.
ალარ იზოგვენ ძაღლონეს,
სწევენ და ექაჩებიან;
ოფლში სცურავენ უბრალოდ,
იმავე ადგილზე რჩებიან.
ვერ ახერხებენ ვერც ერთი
ერთი-მეორის შველასა...
და შჩატე ტვირთი მიშქონდათ
სხვადასხვა მხრისკენ ყველასა:
თევზს—წყალში, გედს კი-შაერში
და კიბოს—უკან-უკანა,
მიტომაც იმათ შრომაში
ნაყოფი ვერ მოუტანა.

აკაკი.



J. Nadoz

— ორს რომ გადაუჭრი ბაწარს, მაშინ დაიძრება ეს ურევი ამ ადგილიდან.